სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №26
2021 წლის 27 აპრილი

ქ. თბილისი

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის №185 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები“ მე-3 მუხლის მე-8 პუნქტისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების (www.matsne.gov.ge, 15.06.2017, 010240060.57.069.016110) №2 დანართი შეიცვალოს ამ ბრძანებას თანდართული დანართით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე **ლევან რაზმაძე**

დანართი №2

იმ სამუშაოსა და მომსახურების CPV კოდები, რომელთა შესყიდვა შესაძლებელია პრეისკურანტის საფუძველზე

№	CPV კოდი	CPV კოდის დასახელება
1	45200000 *	სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
2	45500000	სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის/ინჟინერიის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება
3	50100000	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
4	50200000	თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
5	50300000	პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები
6	50400000	სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
7	50500000	ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე, მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება
8	50700000	შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

9	51700000	ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების მონტაჟი
10	55500000	სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება
11	65100000	წყლის განაწილება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
12	66500000	სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები
13	79500000	ოფისის მუშაობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები
14	85100000	ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები
15	90400000	ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მომსახურებები

* აღნიშნულ CPV კოდზე ელექტრონული ტენდერი შესაძლებელია ჩატარდეს პრეისკურანტის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ითვალისწინებს მხოლოდ სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოს ან/და საავტომობილო გზების ან/და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების მიმდინარე ან/და პერიოდული შეკეთების სამუშაოს ან/და საავტომობილო გზებზე სასწრაფოდ განსახორციელებელ სარეაბილიტაციო სამუშაოს, რომელიც მოიცავს საპროექტო მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვას ან/და ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონასა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში შესასრულებელ სამუშაოს, ან/და იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის №185 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამის – „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში საპროექტო მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვას.